ძალადობაგამოვლილი ქალების მხარდაჭერის სერვისები: ხელმისაწვდომობა და ბარიერები

შესავალი

ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობა გავლენას ახდენს ძალადობაგამოვლილი ქალების და მისი ოჯახის წევრების, ასევე საზოგადოების კეთილდღეობასა და უსაფრთხოებაზე. ეფექტიანი მხარდამჭერი სერვისების არსებობა ძალზე მნიშვნელოვანია მსხვერპლთა გაძლიერებისა და ხელშეწყობისათვის.

წინამდებარე დოკუმენტში შეფასებულია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის მხარდაჭერის სერვისების ხელმისაწვდომობა და მოსახლეობის დამოკიდებულება მათი ეფექტიანობის მიმართ. მასში გაანალიზებულია, თუ ვის მიმართავენ ძალადობაგამოვლილი ქალები თავდაცვის მიზნით, რომელი სერვისები მიიჩნევა უპირატესად არჩევანის არსებობის შემთხვევაში და რა ფაქტორები აფერხებს დახმარების მიღებას და შესაბამისი მხარდაჭერის მომსახურების ხელმისაწვდომობას. დოკუმენტში ასახულია ქალების შეხედულება, თუ რამდენად შეიძლება საქართველოში არსებული სოციალური და პოლიტიკური ვითარება ხელისშემშლელ ფაქტორად იქცეს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობისთვის და მოსახლეობისთვის სრულფასოვანი მხარდაჭერის სერვისების მიწოდებაში.

დოკუმენტი ეფუძნება **ქალთა ფონდი „სოხუმის“ 2024 წლის, მაისი-სექტემბრის თვეში ჩატარებული თვისებრივი და სექტემბერი-ოქტომბრის პერიოდში - რაოდენობრივი კვლევის მონაცემებს, სადაც შეფასდა** ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა არსებული მხარდაჭერის და დახმარების სერვისებისადმი ბენეფიციარი და არაბენეფიციარი ქალების დამოკიდებულება, და არსებული სერვისების ეფექტიანობა. კვლევამ მოიცვა **11 სამიზნე მუნიციპალიტეტი** - ჩოხატაური, ტყიბული, ქობულეთი, ბაღდათი, ვანი, თერჯოლა, სამტრედია, სენაკი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ხობი. **თვისებრივი კვლევის მეთოდით (ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი) გამოიკითხა - 52 რესპონდენტი,** მათ შორის როგორც სერვისის მიმწოდებლები, ასევე სერვისის მიმღებები. **რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში - გამოიკითხა 553 ქალი**, რომლებიც საზოგადოების ფართო სეგმენტს წარმოადგენენ.

მიგნებები

- **რაოდენობრივი კვლევის მონაცემები** აჩვენებს, რომ ძალადობაგამოვლილი ქალები ყველაზე ხშირად პოლიციას (57.3%), არასამთავრობო ორგანიზაციებს (52.3%) და ადგილობრივ ხელისუფლებას (39.2%) მიმართავენ მხარდაჭერისთვის, რაც ამ სერვისების მიმართ ნდობაზე, მათ შესახებ ინფორმირებულობასა და და ხელმისაწვდომობაზე მიუთითებს;
- **თვისებრივი კვლევით გამოიკვეთა,** რომ ძალადობაგამოვლილი ქალები სხვადასხვა უწყებებს — პოლიციას, მერიას, სოციალურ სამსახურს და არასამთავრობო ორგანიზაციებს მნიშვნელოვან მხარდამჭერ რესურსებად მიიჩნევენ. გამოკითხული ქალების შეფასებები მიუთითებს, რომ ეს სერვისები ხშირად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათ გადარჩენასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში. ქალები აღნიშნავენ, რომ პოლიციის ჩარევა გადამწყვეტი იყო მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ხოლო მერიის და არასამთავრობო ორგანიზაციის სერვისებმა მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური და სოციალური მხარდაჭერა გაუწიეს.

დიაგრამა №1

ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, ვის ან მხარდაჭერის რომელ სერვისს მიმართავდით ან მიგიმართავთ თავის დაცვის მიზნით?



„არაერთ ორგანოსთან მქონდა ურთიერთობა: მაგალითად პოლიცია, მერია, ფონდი“ სოხუმი“ და სოციალური მომსახურების სააგენტო. ყველამ საკმაოდ პროფესიული სერვისი გამიწია. პოლიციამ არაერთხელ გადამარჩინა, რომ არა ისინი, მე დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი. სენაკის მერია ჩემი გადამრჩენი აღმოჩნდა, მათ მიერ გაწეული საქმიანობა ჩემი და ჩემი შვილების მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის იყო სასიცოცხლო და მნიშვნელოვანი. ფონდი „სოხუმი“ ჩემი გადამრჩენია, ფსიქოლოგიური კონსულტაციები, კერვის კურსები რომელიც მე გადავიარე, ტელეფონი და სარეაბილიტაციო ცენტრში ყოფნა გადამწყვეტია.“ - **ხ.კ. - ქალთა ფონდის სოხუმის სარეაბილიტაციო ცენტრის ბენეფიციარი, სენაკი.**

„არავისთვის მიმიმართავს, მეგონა რომ ოჯახური კონფლიქტები არავის ეხებოდა და ვინ უნდა დამხმარებოდა არც კი ვიცოდი. მივმართე ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ დაჟინებით მირჩიეს მიმეართა ქალთა ფონდი „სოხუმისთვის“ და მადლობა ამისთვის, კარგია რომ მივიღე ეს გადაწყვეტილება.“ - **ნ.ც. ქალთა ფონდის სოხუმის სარეაბილიტაციო ცენტრის ბენეფიციარი, ჩოხატაური**

დიაგრამა №2

ზოგადად, არჩევანის არსებობის შემთხვევაში, ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის რომელ სერვისს აირჩევდით/ მიმართავდით?



შენიშვნა: *კითხვაზე შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის არჩევა. შესაბამისად, მოცემულია შემთხვევების და არა რესპონდენტების რაოდენობა.*

„არც მალავენ, რომ ეს თანხები გაუხარჯავი რჩებათ... თვითონვე ქმნიან ბარიერებს. შევთავაზე, მაგალითად, კრიზისული ცენტრის ბენეფიციარებს დახმარებოდნენ, თუმცა პასუხად მივიღე, რომ ამ შემთხვევაში ნებისმიერს შეეძლება მომართვა და ვერ მოემსახურებიან. შემდეგ შევთავაზე, რომ დახმარება მხოლოდ შემაკავებელი ორდერით მისულებისთვის გაეწიათ, მაგრამ მიპასუხეს, რომ შესაძლოა ბენეფიციართა დიდმა რაოდენობამ მოგვმართოს და ვერ გაუმკლავდებიან. უცნაური იყო – ერთი მხრივ, რჩევას ითხოვდნენ ჩემგან და, მეორე მხრივ, თავადვე ბლოკავდნენ ყველა წინადადებას - ***რესპონდენტი ქუთაისის მუნიციპალიტეტიდან***

- **წინა კვლევებთან შედარება** – 2023 და 2024 (ივნისის) მონაცემების შედარება მიუთითებს პოლიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი მიმართვიანობის ზრდაზე, რაც შესაძლოა უფრო მაღალი ნდობით და მათი სერვისების შესახებ გაზრდილი ინფორმირებულობით იყოს განპირობებული. ამასთან, შემცირებულია ადგილობრივი ხელისუფლებისა და ცხელი ხაზის გამოყენება, რაც შესაძლოა, უკავშირდებოდეს სწრაფი, დროული და უფრო სანდო რეაგირების სერვისებისადმი უპირატესობის მინიჭებას;
- **არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი მაღალი ნდობა** – რაოდენობრივი მონაცემებით, რესპონდენტთა 72.9% უპირატესობას არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისებს ანიჭებს (დიაგრამა #2), რაც მეტწილად განპირობებულია სერვისების მიწოდების სისწრაფითა და სიმარტივით, და ძალადობაგამოვლილი ქალების სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებული, მოქნილი რეაგირებით.

მიგნებები - ბარიერები:

კვლევის შედეგებით იკვეთება ის სტრუქტურული ბარიერები, რომელიც აფერხებს სერვისების მიღებას, მათ შორისაა:

- **სერვისებზე მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას**, რაც ბენეფიციართა რაოდენობის ზრდისა და რესურსების სიმცირის შედეგად ხდება. ამის გამო, ნაწილი სერვისის მიღმა რჩება ან დაბალი ხარისხით კმაყოფილდება (მაგ., თავშესაფარში ორი ოჯახის ერთ ოთახში ცხოვრება). პარადოქსულია, როცა ქალების გაზრდილი ინფორმირებულობის და სერვისებისადმი მიმართვიანობის გაზრდისთვის აქტიური ძალისხმევის ფონზე, ვერ ხდება მოთხოვნის დაკმაყოფილება;
- **შემზღუდავი წინაპირობები სერვისებზე წვდომისთვის:** ძალადობაგამოვლილ ქალებს სერვისებზე წვდომა ეზღუდებათ, თუ მათ არ უსარგებლიათ თავშესაფრით (ქუთაისის მუნიციპალიტეტის პრაქტიკა), ან არ მიუმართავთ პოლიციისთვის;
- **რეგისტრაციის საკითხი (ჩაწერა)** – ბენეფიციარები ვერ სარგებლობენ სერვისებით იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ისინი ძალადობრივი გარემოდან თავის დაღწევის შემდეგ დროებით იმყოფებიან, რადგან მათ არ აქვთ რეგისტრაცია აღნიშნულ ადგილას;

მიგნებები - ბარიერები:

- რაოდენობრივი კვლევის მონაწილე ქალებმა, რომლებმაც კითხვას **"არჩევანის არსებობის შემთხვევაში, რომელ სერვისს აირჩევდით/მიმართავდით?"** უპასუხეს **"არცერთს,"** (დიაგრამა #2) ასახელებენ ორ ძირითად მიზეზს: **სტიგმა და საზოგადოებისგან განკითხვის შიში (25%)** და **"პრობლემის" შესახებ ინფორმაციის გახმაურების შიში"** (16.5%), რაც მიუთითებს იმას, რომ ქალები ერიდებიან საზოგადოებისგან ნეგატიურ რეაქციას და განსჯას;
- გარდა ამისა, ქალები ხაზს უსვამენ იმ ძირითად ფაქტორებსაც, რაც მათი აზრით ზოგადად აფერხებს ქალების მხრიდან მიმართვიანობას და სერვისებისადმი ხელმისაწვდომობას. მათ შორისაა: **მოძალადის შურისძიების შიში** (შემთხვევათა 42.1%) და **კონფიდენციალურობის დარღვევის შიში** (შემთხვევათა 41.8%), რაც თვისებრივი კვლევის შედეგებითაც დასტურდება (დიაგრამა #3);
- **სერვისების გეოგრაფიული სიშორე** წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას შემთხვევათა 21.7%-ისთვის. აგრეთვე, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა (შემთხვევათა 15.4%) და მასთან დაკავშირებული ხარჯები (შემთხვევათა 27,5%) (დიაგრამა #3);
- **„მსხვერპლის სტატუსი" – სერვისებზე წვდომის არასწორად აღქმული წინაპირობა** – 2023 წლის 1 ივლისის საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ "მსხვერპლის სტატუსი" არ არის სერვისების მიღების წინაპირობა, თუმცა ინფორმაციის ნაკლებობის და შესაბამისი კრიტერიუმების არარსებობის გამო, ცალკეულ მუნიციპალიტეტში ქალებს სერვისებზე წვდომა ეზღუდებათ. რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, შემთხვევათა თითქმის 13%-ში დასახელდა „მსხვერპლის სტატუსი" როგორც სერვისების მიღების ბარიერი;
- **კონფიდენციალურობის დაცვის პრობლემები და არასენსიტიური მიდგომები სახელმწიფო სერვისებში,** რაც თვისებრივი კვლევის შედეგებით იკვეთება, მნიშვნელოვნად ამცირებს ბენეფიციარების სერვისების გამოყენების სურვილს. იკვეთება, რომ ქალები ხშირად ამბობენ სერვისებზე უარს, არასასიამოვნო კითხვების და კონფიდენციალურობის დარღვევის გამო.

დიაგრამა №3

ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისებისადმი ხელმისაწვდომობის ბარიერები



„...ვერ კონტროლდება კონფედიციალურობის დაცვა - 5 სტრუქტურას გადის წერილი სანამ მივა ადრესატამდე. მქონდა შემთხვევა, როდესაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამაში მხარდაჭერის მისაღებად მერიას მიმართა ბენეფიციარმა, იმდენად არასასიამოვნო კითხვები დაუსვეს, რომ სურვილი დაეკარგა პროგრამაში ჩართულიყო. ვუშვებ სახელმწიფო სტრუქტურაში, რომელიც ვალდებულია კანონი შეასრულოს და მიბრუნდება აღშფოთებული ბენეფიციარი... არაკომპეტენტურობის საკითხია, უნდა სცოდნოდათ, რომ ასეთი ბენეფიციარები საჯაროდ შეიძლება ვერ ამხელენ თავიანთ მდგომარეობას, ძალზე დიდი ბარიერი იქმნება ბენეფიციარს, კანონსა და სერვისის მიმწოდებელს შორის" (GCRT).

მიგნებები - ბარიერები:

- **ძალადობაგამოვლილი ქალების მზაობის ნაკლებობა** – თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ ძალადობაგამოვლილ ქალთა ნაწილი მზად არ არის ახალი ცხოვრების დასაწყებად, მაგ: დაესწრონ სასწავლო კურსებს, მიიღოს ახალი პროფესია, ან გაიაროს ფსიქოლოგის ან იურისტის კონსულტაცია და ა.შ. ეს მიგნება მიუთითებს ფსიქოლოგთან ან სხვა შესაბამის სპეციალისტთან მეტი მუშაობის აუცილებლობაზე, რათა ამ ქალებს მიეცეთ შესაძლებლობა, სირთულეების მიუხედავად, გამოიყენონ სერვისები და სრულფასოვანი მხარდაჭერა მიიღონ;
- **სამართლებრივი საქმისწარმოების შეწყვეტა პროცედურული სირთულეების გამო** – სამართლებრივ პროცესში ჩართული ძალადობაგამოვლილი ქალები ხშირად უარს ამბობენ საქმის გაგრძელებაზე, რადგან თითოეული ეტაპის სირთულეები და პროცედურები მათთვის დამატებით ბარიერად იქცევა;
- **მულტისექტორული და კოორდინირებული მიდგომის ნაკლებობა** – თვისებრივი კვლევით ირკვევა, რომ მულტისექტორული თანამშრომლობისა და უწყებებს შორის კოორდინაციის სისუსტე მნიშვნელოვნად ამცირებს სერვისების დროულ და ეფექტიან მიწოდებას, რაც ხელს უშლის ძალადობაგამოვლილი ქალების ინტეგრირებულ და სრულფასოვან მხარდაჭერას;
- **სტერეოტიპები და ტრადიციული მიდგომები** - ოჯახში ძალადობის ტრადიციული აღქმა, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობას პირად და ოჯახის შიდა საქმედ მიიჩნევს, დღემდე ფესვგამჯდარია, რაც ხელს უშლის სათანადო რეაგირებას. მაგ: მერის წარმომადგენლები და ადგილობრივი სოციალური სამსახური, რომლებიც ხშირად ინფორმირებულნი არიან ძალადობის ფაქტების შესახებ, სათანადო რეაგირებას არ ახდენენ. ქალები კი, სტიგმისა და საზოგადოების გაკიცხვის შიშით თავს იკავებენ დახმარების ძიებისგან, რაც ამძიმებს მათ მდგომარეობას და ართულებს მხარდაჭერის მიღების პროცესს.

რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით ***გამოკითხულთა 65% მიიჩნევს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირებას საფრთხე ემუქრება,*** რაც საგანგაშოა, რადგან ძალადობაგამოვლილი ქალების 79.2% უპირატესობას სწორედ სამოქალაქო ორგანიზაციებს ანიჭებს და მათ უფრო მეტ ნდობას უცხადებს.

კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ და არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმდინარე ნეგატიური კამპანია, რომელიც მათ „აგენტის“ იარლიყის მიკერებას ცდილობს, ქმნის მტრულ გარემოს და შესაძლოა ბარიერად იქცეს როგორც მოსახლეობასა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობისთვის, ასევე ამ ორგანიზაციების საქმიანობისთვის. აუცილებელია, არასამთავრობო ორგანიზაციებს ჰქონდეთ თავისუფლად და უსაფრთხოდ ფუნქციონირების შესაძლებლობა, რათა განაგრძონ სახელმწიფოს ხარვეზების შევსება, განსაკუთრებით - ძალადობაგამოვლილი ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების იმ სერვისებით უზრუნველყოფა, რასაც სახელმწიფო ვერ აწვდის.

რეკომენდაციები

- **სერვისებზე წვდომის გამარტივებული კრიტერიუმების დანერგვა** – ბიუროკრატიული და ხელოვნური ბარიერების, მათ შორის თავშესაფარში ყოფნის, ადგილობრივი რეგისტრაციისა და „მსხვერპლის სტატუსის“ მოთხოვნების გაუქმება, სერვისების მიწოდების საქართველოს კანონმდებლობასა და სტამბულის კონვენციასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- **რეფერალურ სუბიექტებს შორის კოორდინაციის გაძლიერება** – უწყებებს შორის უწყვეტი და დროული თანამშრომლობის უზრუნველყოფა ძალადობაგამოვლილი ქალების ეფექტიანი მხარდაჭერისთვის;
- **კონფიდენციალურობისა და სენსიტიური მიდგომის გაძლიერება** – სერვისის მიმწოდებლების გადამზადება ბენეფიციართა კონფიდენციალურობის დაცვისა და სენსიტიური მიდგომის დანერგვის მიზნით;
- **გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა და სატრანსპორტო ბარიერების შემცირება** – რეგიონებში სერვისების რაოდენობრივი გაფართოება და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, განსაკუთრებით სოფლებში და რაიონებში; რეკომენდირებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხარჯების სუბსიდირება;
- **სტერეოტიპებისა და სტიგმის შემცირება** – ძალადობაგამოვლილი ქალების მიმართ მხარდაჭერის, სტერეოტიპებისა და სტიგმატიზაციის შემცირების მიზნით კამპანიების განხორციელება.

დიაგრამა №4

საქართველოში დღეს არსებული მდგომარეობა დააბრკოლებს არასამთავრობო ორგანიზაციების სამომავლო ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის მხარდაჭერისა და დახმარების გაწევას?



- დღეს არსებული მდგომარეობა დამაბრკოლებელია ყველა არასამთავრობო ორგანიზაციისთვის
- დღეს არსებული მდგომარეობა დამაბრკოლებელია არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილისთვის
- დღეს არსებული მდგომარეობა არ არის დამაბრკოლებელი არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირებისთვის და მოსახლეობის მხარდაჭერისა და დახმარების გაწევისთვის